ოქმი N 12

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა

კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 8 აგვისტო

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დავით ბერაია
2. მერაბ ფილიპია
3. კობა გოქაძე
4. აკაკი ხურცილავა
5. გია წულაია
6. გოჩა ჯობავა
7. ლაშა ცატავა
8. თემურ გულუა

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 7 აგვისტოს №05/3494 წერილის განხილვა - „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2018 წლის 7 აგვისტოს №05/3494 წერილის განხილვა - „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნების 2018 წლის 28 ოქტომბერს დანიშვნასთან დაკავშირებით, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის შესაბამისი კომისიებისათვის ხდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების დროებით, უსასყიდლოდ გადაცემა, ასევე ამომრჩევლებთან შეხვედრებისათვის გამოიყოფა შენობა-ნაგებობები. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“.

გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი საკითხის გატანა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად კომისიის დასკვნასთან ერთად.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ განხილულ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე კომისიის დასკვნასთან ერთად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე დავით ბერაია